



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიამში სამოქალაქო აქროპორტის გახსნის თემა კვლავ აქტუალურია. საქართველოს საჰაერო სივრცეში სამგზავრო თვითმფრინავების რეისების უზრუნველყოფის მიზნით, არსებული აეროპორტების გამტარუნარიანობის გაზრდასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა ახალი აეროპორტების მშენებლობის საკითხი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიამში სამოქალაქო აქროპორტის გახსნის თემა კვლავ აქტუალურია. საქართველოს საჰაერო სივრცეში სამგზავრო თვითმფრინავების რეისების უზრუნველყოფის მიზნით, არსებული აეროპორტების გამტარუნარიანობის გაზრდასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა ახალი აეროპორტების მშენებლობის საკითხი.

აეროპორტების გამტარუნარიანობის გაზრდასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა ახალი აეროპორტების მშენებლობის საკითხი.

საზღვრისპირა ქალაქ ბათუმის აეროპორტის განტვირთვის მიზნით, სოფელ მერიამში, ყოფილი სამხედრო აეროპორტის ბაზაზე სამოქალაქო აეროპორტის აღდგენაზე საუბრობენ. გასულ ხუთშაბათს, ურნალისტებთან შეხვედრაზე აეროპორტის აღდგენის თემაზე გურიის გუბერნატორმა შურაბ ნასარაიამ ისაუბრა.

1962 წელს, სოფელ მერიამში სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე სამოქალაქო აეროპორტი გაიხსნა. აი, რას წერდა იმჟამინდელი გაზეთი „დინის დროის“ 4 სექტემბრის ნომრის ფურცლებზე ურნალისტი ვაჟა ჭანუყვამე: „1962 წლის 1 სექტემბერი

ახალი, კიდევ ერთი სასიხარულო მოვლენით აღინიშნა მახარადელი მშრომლებისათვის. დაინიშნა სამგზავრო თვითმფრინავი მახარადე-თბილისი.

პირველ დღეს მინც განსაკუთრებული შნო და ლაზათი ახლავს. აეროდრომზე მრავალი ადამიანი შეიკრიბა პირველი სამგზავრო თვითმფრინავის მისაღებად, მგზავრების გასაცლილებლად. კონტად გამოიყურება პატარა აეროპორტი. მგზავროთა მოსაცდელ დარბაზში სისუფთავეა. ისევე ნებენ, ათვალთვლებენ ურნალი-გაზეთებს.

პირველი თვითმფრინავის მისაღებად ჩამოვიდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის უფროსი, გენერალი ლავრენტი გოლიაძე. იგი დინჯად ესაუბრება სამგზავრო აეროპორტის უფროსს გ. დოლიძეს და მომსახურე პერსონალს. აძლ-

ევს განმარტებებს, შენიშვნებს ჯერ კიდევ ზოგიერთი მოუგვარებელი საკითხის გამო.

... 10 საათს და 45 წუთზე თვითმფრინავიც გამოიჩნდა. მან რკალი შემოხაზა ჰაერში და დაეშვა. ერთხანს თავაწყვეტით გაიქროლა ბილიკზე, მერე სელას უკლო და ნელ-ნელა მოაღვა მოედანს. პილოტებმა კაბინები დატოვეს.

ამხანავო გენერალი, —უპატაკა თვითმფრინავის რაზმის უფროსმა ე. მატკეევმა, —სამგზავრო თვითმფრინავი „ილ 14“ მოვიდა დანიშნულების ადგილზე.

„ილ 14“ 28 მგზავრისთვისაა. მისი საერთო წონა ტვირთთანად 17,5 ტონაა. საათში ავიტარებს 300 კილომეტრს. თბილისამდე მანძილს ფარავს 1საათს და 15 წუთში.

მოახლოვდა გაფრენის დრო. თვითმფრინავში ადიან და

ადვილს იკავებენ მგზავრები. სრულ 11 საათს და 15 წუთზე ხომალდი მიწას მოწყდა და თბილისისაკენ აიღო კურსი.

თვითმფრინავი — მახარადე-თბილისი იფრენს ყოველდღე. იგი ყველასათვის ხელმისაწვდომია.“

მერიის სამგზავრო აეროპორტმა ორიოდე წელი იძუშავა. შემდეგ რეისები შეწყდა. საგარეუოდ ამის მიზეზი სამხედრო აეროდრომზე დისლოცირებული ახალი სამხედრო ტექნიკის „შენიღება“ იყო.

სამოქალაქო აეროპორტის აღდგენის თემა არ წყდებოდა.

1992 წელს ოზურგეთელმა ბიზნესმენებმა ავიასაწარმო „გურია“ დაარსეს. ავიასაწარმოს დირექტორად ფირმა



ს ა ლ ი რ ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გაიხსნა 1931 წლის 5 იანვარს

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ყოველკვირეული გამოცემა. № 34 (10279) 10 სექტემბერი 2018 წ. შპს-ი 60 თეთრი.

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი ახალ სეზონს სტამბულში გახსნის



ალიონი. ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი ახალ თეატრალურ სეზონს თურქეთში, ქალაქ სტამბულში, მალთეფეს ფესტივალზე გახსნის.

—დღეს დასის პირველი შეკრება გაიმართა. ვიწყებთ 151-ე თეატრალურ სეზონს. მიწვევა გვაქვს თურქეთში, ქალაქ სტამბულში მალთეფეს საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც 24 თეატრი მიიღებს მონაწილეობას, ჩვენს გარდა კიდევ 7 უცხოური ქვეყნის თეატრი ჩავა. ამას დაუმატება თურქეთის მსხვილი ქალაქების კიდევ 16 თეატრი. ფესტივალი 12 სექტემბერს იხსნება და 16 სექტემბრის ჩათვლით ჩატარდება. ასეთ დიდ ფესტივალზე წარმოვადგენთ სპექტაკლს ბართაიას „სათამაშო პისტო-



„ადგილობრივი ხელისუფლების უტომბს შორის დაკაბულობა არ უნდა იყოს“ ინტერვიუ გურიის გუბერნატორთან

გურიის გუბერნატორი

ზურაბ ნასარაიას გურიის განსახორციელებელ მმართველ და სურვილზე ვაპირებთ. როგორი მმართველობა დახვდა? როგორი მისი პრობლემა სამომავლოდ? დავინტერესდებით რა გზა გაიარა გურიის გუბერნატორობაში და რა ურთიერთობა ჰქონდა დღემდე ჩვენს მხარესთან?

— გურიასთან ურთიერთობა დღეაღმდეგ იწყება, ის გურულია, შრომიდან, გვარად ხომერიკი. სწორედ ამიტომ ბევრი დრო, ასე ვთქვათ ყმაწვილკაცობა მაქვს გატარებული გურიაში. რაც შეეხება კარიერას, წლების განმავლობაში ვმუშაობდი ფოთის მერიამში სხვადასხვა თანამდებობებზე. ვიყავი საქართველოს პარლამენტის წევრი, შემდეგ ვმუშაობდი რკინიგზის სტრუქტურებში სხვადასხვა თანამდებობებზე. ბოლოს ვიყავი რკინიგზის პროფესიული კავშირის თავმჯდომარე.

გურია არის ძალიან საინტერესო კუთხე, იგი გამოირჩევა თავისი ბუნებრივი და ეკონომიკური რესურსით, რომელიც შესაბამისად უნდა იყოს გამოყენებული. მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდები უნდა გადავამზადოთ პროფესიულად. ხელი უნდა



შეუწყვთ მათ განვითარება-დასაქმებას. აქ ხალხიც ძალიან საინტერესოა თავისი ხასიათით. მემკვიდრეობა და მხედრობა ძალიან კარგი. ვგული-სხმობ კადრებს რომლებიც დღეს არის დასაქმებული. მათი რესურსი შესაბამისად უნდა იქნას გამოყენებული. მთავარია მივცეთ სწორი მიმართულება.

— როცა მედიის წარმომადგენლებთან გაცნობითი სასაუბრო შეხვედრა გქონდათ, აქცენტები ტურისმის განვითარებაზე გააკეთეთ. კონკრეტულად რა გეგმები გაქვთ? — გურია უნდა გადავაქციოთ

ტურიზმისთვის მიმზიდველ მხარედ. ამისთვის პირველ რიგში აუცილებელია სწორად გაიწეროს ტურისტული მარშრუტები როგორც აგრო, ასევე სატყეო, მთის, ველო ტურიზმის. ბევრი მიმართულება შეიძლება გურიაში განვითარდეს. თავისი რელიეფით, მდებარეობით გურია ტურიზმისთვის არის ხელმისაწვდომი. ჩვენ ყველა დონე უნდა ვისმართოთ რომ ინფრასტრუქტურული განვითარება მოვანერხოთ. მოვაწესრიგოთ გზები, მოვაწყვთ ადგილები, სადაც ტურისტებს შეეძლება დაბანაკება, თავშეყრა, გართობა

და ა.შ. — აქ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საყურადღებო. ტურისტებმა უნდა ნახონ ხეობები, მდინარეები, ამ დროს ხდება ინტერული მასალების ბარბაროსული მოპოვება...

— ამ საკითხთან დაკავშირებით დაახლოებით ათი დღეა მუშაობენ სპეციალისტები. მოწვეული გვყავს წიაღის ზედამხედველობის სამსახური, ჩართულები არიან გეოლოგები. სწავლობენ, რამდენად სწორად მიმდინარეობს ინტერული მასალების მოპოვება. დასკვნა



გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ლირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ლირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთერ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურება
 რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani@rambler.ru
 558 499100
 საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარმანიშვილი
 tem52@mail.ru
 599 373515
 კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩმაბათი ალიონზე
 «ალიონით»

გაიხსნება თუ არა მისამედ სამომავლო ამროპორტი სოფელ მერიასი

„ბახმაროს“ დამფუძნებელი, გამოცდილი ბიზნესმენი მანუჩარ მამეიშვილი აირჩიეს. ამ დროისათვის რეგიონის სატრანსპორტო ჩიხში იყო მოქცეული და გამოსავალს მერიის აეროპორტის ამოქმედებაში ხედავდნენ. აეროპორტის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაში ძირითადად ტვირთბრუნვა ჰქონდათ და აქედან თვეში 2000 ტონა ტვირტის გატანას გეგმავდნენ. ამ იდეას ჰქონდა ხელისშემშლელი მიზეზები, რის გამოც აეროპორტმა 1995 წლამდე ვერ შეძლო ამოქმედება. „21 მაისი მნიშვნელოვანი დღე გახდა გურიის რეგიონის ცხოვრებაში. საზეიმოდ გაიხსნა სამგზავრო-სატვირთო აეროპორტი. ამ მხარის ისტორიაში პირველი სამოქალაქო რეისი შესრულდა ოზურგეთი-მოსკოვის მიმართულებით.“ - წერდა გაზეთი „ბიზნეს კურირი“. 1995 წ. ივნისში (ავტორი ნ. ასათიანი). ოზურგეთი-მოსკოვის რეისებს ავიაკომპანია „გაკო-კავკასიის“ თვითმფრინავი ტუ-134 ასრულებდა. იგეგმებოდა „იაკ-42“ მარკის თვითმფრინავის ფრენა ანაპის, არმავირისა და ვოლგოგრადის მიმართულებით. ხოლო აეროპორტის საერთაშორისოდ გადაკეთების შემდეგ - ევროპისა და აზიის ქვეყნებში.

ამ პერიოდში რამდენიმე რეისი შესრულდა ოზურგეთი-თბილისის მიმართულებითაც, მაგრამ ქვეყანაში არსებულმა მდგომარეობამ მერიის აეროპორტს არსებობის საშუალება არ მისცა და ოზურგეთელი ბიზნესმენების მიერ დაწყებული კარგი საქმე შეჩერდა.

10 წლის წინ, გურიის იმჟამინდელი გუბერნატორი, რამაზ ნიკოლაიშვილი დაპირდა ოზურგეთელებს, რომ მერიის სამოქალაქო აეროპორტი ამოქმედდებოდა, თუმცა ეს დაპირება მმართველი პარტიის მხლოდ საარჩევნო ბიარი აღმოჩნდა. ბოლო პერიოდში კვლავაა საუბარი მერიის აეროპორტის შესამედ ამოქმედებაზე, ამჟამად უკვე საერთაშორისო სტატუსით. თუ გავითვალისწინებთ ამ აეროპორტის საუკეთესო მდებარეობას, როგორც შავი ზღვისპირა ეკონომიკურ ზონასთან და საკურორტო ქალაქების ბათუმის, ქობულეთის, ფოთის სიახლოვეთ (მით უმეტეს, რომ სრულდება ახალი ავტობანის მშენებლობა), ასევე თვითმფრინავების ფრენის უსაფრთხოების თვალსაზრისით, იგი ყველა ადვილად სტანდარტს აკმაყოფილებს. მერიის აეროპორტს ყოველგვარ ამინდში შეუძლია თვითმფრინავების მიღება.

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი ახალ სეზონს სტამბულში გახსნის

პირველი პრემიერა. ასევე ჩამოსვლის შემდეგ, ვაპირებთ პუშკინის „მებაღური და ოქროს თევზი“-ს დადგმაზე ვიშუშაოთ. იმის გამო, რომ ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, ძალიან ძნელი მასიურ დადგმებზე მუშაობა. ამის მაგალითი გვქონდა ნოდარ დუმბაძის

ფესტივალზე, როცა ჩონატაურის კულტურის სასახლის სცენაზე მხოლოდ 6 დღე დაგვიტოვებდა რეპეტიციების ჩასატარებლად. ამიტომ ამ ეტაპზე ისეთ დადგმებს განვახორციელებთ, რაც გურიანთის დარბაზშია შესაძლებელი. ჩვენი ძირითადი მაყურებელი ამ ეტაპზე სკოლებია - გვითხრა მან.

„ჭადრების ბაღში“ ახალგაზრდა პიანისტის, ღავით ალადაშვილის კონცერტი გაიმართა



ოზურგეთის „ჭადრების ბაღში“ კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით, ჯულიარდის კონსერვატორიის კურსდამთავრებული პიანისტი, ღავით ალადაშვილი, კომპანია „ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“ და „მაგთი“ წარმოგიდგენთ მუსიკალურ ტურნეს „პიანინო“.

განმავლობაში, მოძრავ სცენაზე დამონტაჟებული პიანინოთი საქართველოს ყველა რეგიონში იმოგზაურებს და 50-მდე კონცერტს ჩაატარებს. პროექტის მთავარი მიზანია საზოგადოების ფართო მასებამდე ცოცხალი, კლასიკური მუსიკის მიტანა.

გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარაია სოფელ ნატანების მოსახლეობას უხვდა



გუბერნატორმა მოსახლეობას სამომავლო გეგმები გააცნო და მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაცია მიიღო. „ნატანების მოსახლეობასთან შეხვედრაზე განვიხილეთ სოფლისთვის პრიორიტეტული საკითხები. ვაპირებ სხვადასხვა სოფელში გასვლას, რათა მეტი კომუნიკაცია მქონდეს ადგილობრივებთან და მოვისმინო მათი

საჭიროებები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რეგიონში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, მაგრამ პრობლემური საკითხები ჯერ კიდევ არის, რასაც ჩვენ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად ეტაპობრივად მოვაგვარებთ“ - განაცხადა ზურაბ ნასარაიამ.

„ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის ოფისის ყოფილი მენეჯერი გაერთიანებულ ოპოზიციას უშუბრთდა



ქ. ქუთაისში „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის ოფისის ყოფილი მენეჯერი ცირა ჯინჭარაძემ განცხადება გააკეთა და გაერთიანებულ ოპოზიციას შეუერთდა. „ეს არ იყო ჩემთვის იოლი გადაწყვეტილება მაგრამ საქმე მართლმე, ჩემს ოჯახსა და ჩემს მეგობრებს არ ენება საქმე ეხება ჩვენს სამშობლოს ჩვენს საქართველოს. მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებისა და სხვადასხვა საკითხში განსხვავებული შეხედულებისა, საკითხი ღვას ასე, ან ჩვენი ქვეყნის, ჩვენი შვილების კეთილდღეობა და მომავალი, ან რუსეთი, მონობა და ერის გადაგვარება. მე ვირჩევ უკეთეს მომავალს, ჩვენ ყველას ერთად შეგვიძლია შევცვალოთ. ძალა ერთობაშია.“ იმის გამო, რომ გაერთიანებულ ოპოზიციას გაზეთ „ალიონისთვის“ არ უცნობებია ბრიფინგის შესახებ, ცირა ჯინჭარაძეს მოგვიანებით დაუკავშირდით: „აბა რა ვითხრათ, თქვენი გაზეთის გარდა, ბრიფინგს რეგიონის ყველა მედიასაშუალებამ დაესწრო. დავტოვე „ქართული ოცნება“ და შევეუბრთდი გაერთიანებულ ოპოზიციას. მხარს ვუჭერ გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატს - გრიგოლ ვაშაძეს.“

ცირა ჯინჭარაძე 2012 წლიდან „ქართული ოცნების“ აქტივისტი იყო და პარტიის ოფის მენეჯერად მუშაობდა. მას პარტიაში ნდობა ჰქონდა და ყველა პარტიულ დოკუმენტზე მიუწვდებოდა ხელი. იგი სამსახურიდან რამდენიმე თვის წინ გაათავისუფლეს. თუ რა იყო მიზეზი, ამის შესახებ „ქართულ ოცნებას“ ცირა ჯინჭარაძის ქუთაისში საჯაროდ გაკეთებულ განცხადებაზე არ განუცხადებია. მოგვიანებით, აღნიშნულზე „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე მერაბ ჭანუყვაძემ გაზეთ „გურია ნიუსთან“ გააკეთა კომენტარი: „ქალბატონ ცირა ჯინჭარაძეს რამდენიმე თვის წინ დავატოვებინეთ პარტიაში ოფის-მენეჯერის თანამდებობა, რადგან სათანადოდ ვეღარ ახორციელებდა დაკისრებულ მოვალეობას. ასევე, ჩვენი პარტიის სხვა წევრებისგან შემოსული იყო საჩივრები, რომ ეს ქალბატონი დამორბედი იყო ჩვენი პარტიის იდეოლოგიასა და შექმნილი იყო სხვა ძალებთან თანამშრომლობაში. როგორც ჩანს, სწორედ განაწყენებულმა და „ქართული ოცნების“ იდეოლოგიისგან უკვე დამორბეულმა ქალბატონმა მიიღო ეს გადაწყვეტილება.“

„ადგილობრივი ხელისუფლების შტოებს შორის დაკავშირება არ უნდა იყოს“

გვექნება რამდენიმე დღეში. დასკვნის საფუძველზე მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას.

— კიდევ ერთი, ურეკში სადაც თითქოს ზღვისპირა ზოლი ვითარდება 300 მეტრში არის უზარმაზარი ჭაობი, რომელიც ყოველი წვიმის დროს პრობლემას უქმნის კურორტის მოსახლეობას.

— არამარტო ეს ჭაობი, სხვა უსახური ტერიტორიები, თუ შენობა-ნაგებობები, რომლებიც პრობლემას უქმნის ადგილობრივებს და დამსვენებლებს, დროულად უნდა იქნას მოწესრიგებული. ჩვენ შევხვდებით მათ მეპატრონეებს ზედამხედველობის სამსახურთან ერთად და მივცემთ შესაბამის განკარგულებას, რომ დროულად იქნეს მიღებული ზომები. წინააღმდეგ შემთხვევაში კურორტი ვერ განვითარდება. ისე, როგორც ჩვენ გვინდა და ვხედავთ, არსებულ მდგომარეობას ვერ შევვალავთ. აუცილებელი გახდება ამ ყველაფრის მოწესრიგება არა მარტო ურეკში. თუ დააკვირდებით, მთავარ გზაზე არიან გარემოვაჭრები, განლაგებულია უსახური ფარდულეები ეს აუცილებლად უნდა ავიღოთ და მოვაწესრიგოთ. მათ ნაცვლად უნდა გაკეთდეს თანამედროვე, მიმზიდველი ობიექტები. ამასთან დაკავშირებით გვექნება მკაცრი მოთხოვნები და

შეფასებები. — არის ვარაუდი, რომ სოფელ მერიაში აშენდება სამოქალაქო აეროპორტი. თუ გეგმავთ ამ თემაზე საუბარი ცენტრალურ ხელისუფლებასთან. რისი თქმა შეიძლება ამ ეტაპისთვის?

— ნებისმიერ პროექტზე, თუ რამე შეიძლება განხორციელდეს გურიაში, მექნება საუბარი ყველასთან, ყველა დონეზე. იმიტომ რომ, ჩვენი პირველი ამოცანაა, მოვიზიდოთ ინვესტორი გურიაში. ჩვენი ინტერესია მოვაწესრიგოთ, გავალამაზოთ და შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები. აქედან გამომდინარე ყველა მიმართულებით, ეს მერია იქნება, ბაზმარო, ურეკი თუ სხვა, ჩვენ აქტიურად ვიმუშავებთ და ვესაუბრებით ყველას, ხელისუფლებას, ინვესტორებს.

— კონკრეტულად მერიის აეროპორტთან დაკავშირებით?

მერიის აეროპორტი ჩვენთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. წინასწარ ვერ ვისაუბრებ, რადგან უამრავი თემაა, რომელიც უნდა გავიაროთ, როგორც ეკონომიკის სამინისტროსთან, ასევე, ავიაციის ზედამხედველობის სამსახურთან და ა.შ. რადგან აეროპორტი არის განსაკუთრებული რეჟიმის მქონე ობიექტი და

შესაბამისად სჭირდება ყველა ინსტანციასთან საკითხის გაგება და შეთანხმება. მოგვიწევს მთავრობის წევრებთან, სამინისტროებთან აქტიური მუშაობა.

— საიდუმლო არაა, რომ ოზურგეთის ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის არის დაძაბული ურთიერთობა. ალბათ, ეს უცხო თვალისთვის კიდევ უფრო შესამჩნევია. თქვენი სიტუაციის შესახებ გთხოვთ კომენტარს, როგორ ხდებიან ურთიერთობები?

— ადგილობრივი ხელისუფლების შტოებს შორის დაძაბულობა არ უნდა იყოს და არც იქნება. მე პირადად ვერ დავუშვებ, რომ ყველა თავის მხარეს იწეოდეს. თუ გვინდა ეფექტური მუშაობა უნდა ვიყოთ ყველა ერთად. იმიტომ მოუწოდებ ყველას ამოგვიდგინონ მხარში, შევკრათ ერთი გუნდი და გავაგრძელოთ საქმის კეთება. რაც შეეხება წარსულში მიმდინარე მოვლენებს, ამას ბუნებრივია შესწავლა სჭირდება და მიზეზების გამოკვლევა. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ დღეიდან მოყოლებული, ჩვენ გვაქვს სტრატეგია ყველა გადაწყვეტილება, დაწყებული ბიუჯეტით, პროექტებით, უნდა იყოს ერთობლივი განხილვის საკითხი უნდა ჩაერთოს როგორც მერია ასევე საკრებულო, საქართველოს პარლამენტის

მაჟორიტარი დეპუტატი და რა თქმა უნდა გუბერნატორი. ოთხივე შტოსთან შეთანხმებული გადაწყვეტილებები ხდება შემდეგში რეალიზებული. ცალ-ცალკე თვითნებურად მიღებულ გადაწყვეტილებებს ბუნებრივია ვერ შევვალავთ. ყველა სტრუქტურის ხელმძღვანელს, მერია იქნება თუ საკრებულო, მოვუწოდებ ითანამშრომლონ როგორც ერთმანეთთან ასევე მაჟორიტარ დეპუტატთან და გუბერნატორთან.

— თქვენი პოზიცია როგორი იქნება იმ ადამიანებთან დაკავშირებით რომლებიც სამსახურიდან გაათავისუფლეს, შემდეგ, სასამართლო წესით აღადგინენ. იმ ადამიანებზე რას იტყვით, რომლებიც გაათავისუფლების მოლოდინში არიან. როგორ დაარეგულირებთ ამ ყველაფერს?

— თუ ადამიანი კანონის წინაშე არის მართალი, მას აუცილებლად დავიცავთ. თუ ადამიანი კანონს არღვევს მას, რა თქმა უნდა ვერ დავიცავთ. გაათავისუფლების მიზეზი უნდა არსებობდეს. უსაფუძვლოდ, უმიზეზოდ ადამიანის სახლში გაშვება არის ძალიან მტკივნეული. ასეთ თემებში აქტიურად ჩავერგვი, რომ მსგავსი არაფერი მოხდეს.

იღებს თუ არა პასუხისმგებლობას მობილობის ფუნქციონირებით განხორციელების თაობაზე ოზურგეთის მერია, კითხვა პასუხაუცხემელი დარჩა



ალიონი. ხმაურიანი იყო გასულ ოთხშაბათს გამართული საკრებულოს მორიგი სხდომა. კამათი დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხს — „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 ანგარის 5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, მოჰყვა, რომელიც მერიაში არსებულ 39 პოზიციაზე რანგისა და კატეგორიის ცვლილებას ეხებოდა.

საშტატო ნუსხის მოკლე ისტორია: 2018 წლის 18 ანგარს, №5 დადგენილებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დამტკიცა მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები და მერიის საშტატო ნუსხა, სადაც მერიის 39 თანამშრომელს გაზრდილი ჰქონდა ხელფასი და მათზე დამატებით ყოველთვიურად 6400 ლარი უნდა გაცემულიყო. მანამდე კი, 2018 წლის 16 ანგარს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას საჯარო სამსახურის ბუროს გარკვეულ რეკომენდაციებს აძლევდა, რომელიც მერიაში გარკვეულ თანამდებობებზე მოხელეები მობილობის წესით უფრო მაღალ თანამდებობებზე დანიშნას ეხებოდა.

საჯარო სამსახურის ბურო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას აძლევდა საშუალებას 2018 წლის 1 აპრილამდე გამოეწვიებინა ხარვეზები, შეეცვალა 2017 წელს განხორციელებული რანგირება, დაეკორექტირებინა ის, რანგირებაც კი დაესაბუთებინა საჯარო

შენიშვნებიც მერიაში მობილობის დარღვევით განხორციელებას ეხებოდა.

— რა რაოდენობის თანხით დაზარალებულ ბიუჯეტს მერიის ამ არასწორი გადაწყვეტილების შედეგად — მიმართა მან ლამა თავაძეს.

— არ ვვითანხები იმ აზრს, რომ ჩვენ კანონი დავარდელით. .. ჩვენ მომავალი წლიდან ვფიქრობთ ხელფასები მიიღონ ფუნქციური დატვირთვის მიხედვით — თქვა თავაძემ.

— „თქვენს მიერ ინიცირებული საკითხი, რომელიც ეხება რანგების და კატეგორიების ცვლილებას, დაკავშირებულია თანამდებობასთან და თუ ვის დანიშნავდით აღნიშნულ პოზიციებზე არის მერიის პერსონალი და მერიას უნდა განხორციელებინა ეს კანონთან შესაბამისობაში. ამ საკითხის ინიცირებით თქვენ აშბობთ, რომ 39 პოზიციაზე მობილობა განხორციელდა კანონთან შესაბამისად. რა პოზიცია აქვს მერიას ამასთან დაკავშირებით? მაშინ როცა შტატების დამტკიცების შემდეგ მერიის თანამდებობის პირები აკუთვნდნენ განცხადებებს, რომ მერიაში მობილობა კანონის სრული დაცვით განხორციელდა. თქვენ არ გათვალისწინეთ თავის დროზე საჯარო სამსახურის ბუროს რეკომენდაციები, არ გამოასწორეთ ხარვეზი და მხოლოდ 8 თვის შემდეგ იწყებთ ამას მუშაობას. ასევე სახეზე გვაქვს სასამართლოს პირველი ინსტანციის გამმტყუნებელი გადაწყვეტილებები მერიის მისამართით. საკითხი დგას ასე, მობილობის დარღვევით განხორციელების თაობაზე თუ იღებთ შესაბამის პასუხისმგებლობას?!” — განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ლურჯაუშვილმა.

— „აუცილებლად უნდა მოხდეს იმ ადამიანების სწორი ინფორმირება, რომელთაც უშლოდ ეხებოთ ეს პროცესი. საკრებულო დღეს მერიის მიერ ინიცირებულ საკითხზე დეპუტატებს გადაწყვეტილებას და თქვენივე დასაბუთებით, დაშვებული ხარვეზების გასწორება ხდება“ — აღნიშნა საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ.

საკრებულომ ხმათა უმრავლესობით ცვლილება დამტკიცა. საკითხის მიმართ ხმა არ მუცით ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დეპუტატებს: „მალე თავიშვალს, ბესო ქიათაძეს, თორნიკე გოგუაძეს.

მარია ჩხიკვიშვილი მერიისაგან საჯარო ინფორმაციას ითხოვს



5 სექტემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დასასრულს, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე მარია ჩხიკვიშვილმა განცხადება გააკეთა: — მიმდინარე წლის 29 აგვისტოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 45-ე პირველი პუნქტის შესაბამისად, მიემართე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას მოეცა ელექტრონული ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებულთა შესახებ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ უარი გვითხრა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე იმ მოტივით, რომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია შეიცავს პერსონალურ მონაცემებს. მათ მოიმოწველიეს კანონი „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“, რომლის თანახმად მონაცემთა

სუბიექტის წერილობითი თანხმობის გარეშე ინფორმაციის გაცემა შეუძლებელია.

მარია ჩხიკვიშვილმა მიმართა სხდომაზე მყოფ მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსს ლამა თავაძეს, რომ მას ჰქონდა ყველა ის ინფორმაცია, რაც ჩხიკვიშვილს აინტერესებს და აქვს თმინის ვალდებულება, რომ არ გაამჟღავნოს. ანალოგიური პასუხისმგებლობა აქვს მასაც და მერია ვალდებული იყო გაეცა საჯარო ინფორმაცია.

დეპუტატმა მიმართა საკრებულოს, მედიას, არასამთავროებს, რომ მიიღოს საჯარო ინფორმაცია და მიეცეს საშუალება განახორციელოს თავისი უფლებამოსილება.

დღესვე მარია ჩხიკვიშვილმა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას მორიგი მიმართვა გაუგზავნა.

ვიზის როლი ნაკვეთების პრიმატივებს გეგმავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტი?



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრიმატივაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

იმის გამო, რომ 2018 წლიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ბეჭდურ მედიამი აღარ აქვეყნებს აუქციონზე გასატანი გასაყიდი ობიექტების და მიწის ნაკვეთების სიას, საზოგადოების მალალი ინტერესიდან გამომდინარე გთავაზობთ ჩამონათვალს:

სოფელი შრომა: 1,400, 1,249, 1,827, 700, 4,323 კვ. მეტრი მიწის ფართობები (საკადასტრო კოდები: 26.02.10.177; 26.02.13.190; 26.02.13.191; 26.02.20.121; 26.02. 23. 231);

დაბა ნასაკირალი: 6,018, 7,123, 19,084, 25,576, 5,931 კვ. მ. (საკადასტრო კოდები: 26.29.

11.016; 26.29.11.018; 26. 29.10. 038; 26.29.10. 039; 26.29.11. 020);

ურეკი, წვერმაღალა: 3,018, 3,676, 58, 483, 376 კვ. მ. (საკადასტრო კოდები: 26.35.04- .175; 26.35.03. 369; 26.45- .04.180; 26.35.04.181; 26.35- .03.046);

დაბა ლაითური: 4,529, 1,359, 5,017, 10,040 კვ. მ. (საკადას- ტრო კოდები: 26.25.13.227; 26.25. 13.226; 26.25. 11.175; 26.25.07.155).

დაბა ურეკი: 400,2,371 კვ. მ.(საკადასტრო კოდები: 26.28- .20.127; 26.28.16.506);

სოფელი ნატანები: 924, 120,113, 154, 1,470, 364, 100, 391,170,89 კვ. მ. (საკადასტრო კოდები: 26.01.71.068; 26.01.82- .118; 26.01.53.255; 26.01.53- .256; 26.01.51.260; 26.01.51. 261; 26.01. 51. 265; 26.01. 51.264; 26.01. 45.649);

სოფელი ლისაური: 1,522,

1,500 (26.16. 24.094; 26.16. 25.008);

სოფელი ცხემლისხიდი: 1521 კვ. მ.(საკადასტრო კოდი 26.20.17.185);

სოფელი გურიანთა: 6,286 კვ. მ.(საკადასტრო კოდი 26.06- .23.103);

გურიანთა გარე: 1277 კვ. მ. (საკადასტრო კოდი 26.36.15- .085);

სოფელი ოზურგეთი: 3,900 კვ. მ. (საკადასტრო კოდი 26.12.16.148);

დაბა ნარუჯა: 5,045 კვ. მ. (საკადასტრო კოდი 26.27. 07- .144);

სოფელი ბახვი: 3,000 კვ. მ.(საკადასტრო კოდი 26.23. 21.122);

სოფელი მერია: 370 კვ.მ. (საკადასტრო კოდი 26.05- .27.138);

გარე საგარეულები: 27,200, 17,587, 3,160,5,702,5,580 კვ. მ. (საკადასტრო კოდები: 26.36.01- .047; 26.36.01.044; 26.36.14- .131; 26.36.07.038; 26.36.07- .037);

ქ. ოზურგეთი, დანნენკოს ქ. 320 კვ.მ. (საკადასტრო კოდი 26.26.57.254);

ქ. ოზურგეთი, კეჭყამაძის ქ. 450 კვ.მ. (საკადასტრო კოდი 26.26.58.165);

ქ. ოზურგეთი, ჯორჯია- შვილის ქ. 3,000, 3,000 (საკადასტრო კოდები: 26.26- .34.030; 26.26. 34.031).

საკრებულომ აღნიშნული გადაწყვეტილება დაამტკიცა.

„ჭადრების ბაღში“ ახალგაზრდა პიანისტის, დავით ალადაშვილის კონცერტი გაიმართა



ოზურგეთის „ჭადრების ბაღში“ კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით, ჯულ-

იარდის კონსერვატორიის კურსდამთავრებული პიანისტი, დავით ალადაშვილი, კომპანია

„ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“ და „მაგთი“ წარმოგდგენთ მუსიკალურ ტურნეს „პიანინო“.

დავით ალადაშვილი ორი კვირის განმავლობაში, მოძრავ სცენაზე დამონტაჟებული პიანინოთი საქართველოს ყველა რეგიონში იმოგზაურებს და 50-მდე კონცერტს ჩაატარებს. პროექტის მთავარი მიზანია საზოგადოების ფართო მასებამდე ცოცხალი, კლასიკური მუსიკის მიტანა.

ოზურგეთის თოჯინების თეატრი ახალი სეზონისთვის ემზადება



ალიონი. ოზურგეთის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი 30 სექტემბერს 24-ე თეატრალურ სეზონს მორიგი პრემიით, ნ. ჯალაღანას

„ამლაყინწათ“ გახსნის. ჩვენი თეატრი ტრადიციას არ არღვევს და ყოველ კვირა დღეს ჩვენი პატარა მაყურებლებისთვის გაიმართება უფასო თოჯინური

სპექტაკლიანლა კი, სეზონის გახსნის-ათვის ახალ სპექტაკლს ნ. ჯალაღანას „ამლაყინწათ“ გამზადდები (რეჟისორი ოთარ კუტალაძე). პრემიერის შემდეგ თეატრი დაიქვს მუშაობს საახალწლო გასართობ შოუ-პროგრამაზე-გვითხრა თეატრის დირექტორმა **ლამა კუტალაძემ**.

ახალ სპექტაკლში პატარა მაყურებელი მარი ქლიფთარის, გურამ გაფრინდაშვილის, ქეთი ბარამიძის, გიორგი ვაშლიანიძის თოჯინურ გმირებს შეხვდებიან. სპექტაკლის მხატვარი ნინო კეჭყამაძე, ხოლო მუსიკალური გამგებელი დათო მეგრულაძე არიან.

გუბერნატორი საზოგადოებრივი საბჭოს ფორმას უნებდა



გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარაია, მოადგილესთან გია ებრაღიძესთან ერთად, საზოგადოებრივი საბჭოს წევრებს შეხვდა.

შეხვედრაზე ზურაბ ნასარაიამ საბჭოს წევრებს დაგეგმილი პრიორიტეტული პროექტების მიმდინარეობა გააცნო. ასევე, ისაუბრა ტურიზმზე და გურიაში მისი განვითარების პერსპექტივებზე. ყურადღება გაამახვილა აზიურ ფაროს-ანასთან ბრძოლის საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ მავნებლის წინააღმდეგ მასშტაბური ღონისძიებები რეგიონში ინტენსიურად ტარდება.

„ლიცენზიები იმთავითვე უკანონოდ გაცემული“

ამ თემაზე მსჯელობისას ასეთი აზრი გამოთქვა გურიის გუბერნატორის მოადგილემ გია ებრაღიძემ.

ამ თემაზე მსჯელობა დარბაზის წევრ ლადო ხავთაისის კითხვას მოჰყვა, თუ რატომ გაიხსნა ამდენი კარიერი მდინარე ბუჟუყისა და სხვა მდინარეების ხეობებში და რა ეკოლოგიურ ზიანს მოუტანს იგი ჩვენს ბუნებას.

გურიის გუბერნატორმა ზურაბ ნასარაიამ განმარტა, რომ წიაღისეულის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულ ყველა ლიცენზიას აქვს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შესაბამისი თანხმობა.ეს ლიცენზიები 2-3 წლის წინაა გაცემული. მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როცა წიაღისეულის ეროვნულ სააგენტოს ქუთაისის მცხოვრებზე ჰქონდა გაცემული ლიცენზია, რომელმაც არ დაიწყო მოპოვება და შემდეგ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც თითქოსდა ამ ლიცენზიის საფუძველზე დაიწყეს ბუჟუყის ხეობაში ინერტული მასალების მოპოვება. აღნიშნულს ფაქტზე შესაბამისი ღონისძიებები ტარდება. ჩამოსული არიან წიაღისეულის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები.

ზურაბ ნასარაიას თქმით, სოფელ წითელმთის ტერიტორიაზე სულ 8 ლიცენზიაა გაცემული. აქ იყო ასეთი შემთხვევა, როცა მოქალაქემ აიღო ნებართვა მდინარის აუ-

ზთან ახლოს სატბორე მეურნეობის მოწყობაზე, რომელიც მან მდინარის აუზიდან ქვალორდის მოსაპოვებლად გამოიყენა.

ჩვენ მოვითხოვეთ, ქვალორდის მოპოვებლებმა შეეშან მდინარის კალაპოტის გადაგდებას და მდინარეები გასწორსაზოვნდეს, მაშინ კი შესაძლებელია ჭარბი ნატანის გატანა.

ჩვენ ვაპირებთ ამ თემების განსახილველად ოზურგეთში „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები“ თავმჯდომარე ნინო ჩხოვაძე მოვიწვიოთ, სადაც საზოგადოების მონაწილეობასაც ვეგეგმავთ. ჯერ-ჯერობით ვერ შევაჩერებთ იმ მოპოვებლების მუშაობას, რომლებსაც ლიცენზიები აქვთ მოპოვებული. აქ მთავარია ინერტული მასალების სწორი მოპოვება მოხდეს. დგას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: სოფლებში აგებული გზები არაა გათვლილი 60 ტონიან ტრანსპორტზე. საჭიროა სპეციალური სასწორი ამ მანქანების ასაწონად, არადა მათი წონა ტვირთით 80 ტონას აღწერს. მოსახლეობის წუხს ასევე, რომ ამ კარიერების ამოქმედების შემდეგ მათი ჭები დაშრება.

თემურ ჯახვა, შპს „გზამშენი 18“ ხელმძღვანელი: – არც ერთ ქვეყანაში არ ხდება ასე, რომ მდინარის აუზებში მასიურად იხსნებოდეს კარიერები. იცით, რომ გრძელდება ავტომავის ტრალის მშენებლობა, რაც დიდი ოდენობით ინერტულ მასალას მოითხოვს. საჭიროა მთის კარიერის გახსნა. ეს საკითხი მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს.

მედია ჯანელიძე, ურისტი: – ინერტული მასალები მოპოვებლები მოპოვების ყველა წესს არღვევენ. ქვალორდის მოპოვებამდე არ ხდება ზედა ფენის მოხსნა და დასაწყობება. შემდეგ კი კარიერის კვლავ შევსება.

1988 წელს გამოიცა კანონი, რომლითაც იკრძალეოდა შავ ზღვაში ჩამავალი მდინარეების აუზიდან ქვალორდის მოპოვება.

გია ებრაღიძე, გუბერნატორის მოადგილე: – კანონი დარღვეულია და ლიცენზიები იმთავითვე უკანონოდაა გაცემული. სოფელ შემოქმედში, აჭის ხეობაში ქვალორდის მოპოვებზე ლიცენზიები არ უნდა გაცემულიყო.

* * *

დარბაზის წევრმა მამია კალანდარიშვილმა დასვა საკითხი, რომ მოსახლეობას დახმარება სჭირდება, რომ განსაზღვრონ, რა სახის კულტურა შეიძლება გაშენდეს მათ საკარმიდამოებზე, ამისათვის კი მიწის ნიშუშები უნდა გაიხიჯოს..

ამ თემაზე ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის ეროვნული ცენტრი „ანასეულის“ დირექტორმა რუსუდან ტაკაძემ თქვა: – გურიაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება რომელი კულტურებია მთავარი და მისაღები რეგიონისთვის. გურიის მიწები არის მუყავე და წითელიწა ნიადაგები, სადაც შესაძლებელია ჩაის კულტურის რეაბილიტაცია და კენკროვანი კულტურების გაშენება.

შარშან მიწის 3 000 ნიშუშია გაიხიჯა. ეს ნიშუშები ძირითადად იმერეთიდან, სამეგრელოდან, კახეთის მხარიდან შემოვიდა. მეტი დაინტერესება უნდა ჰქონდეთ ამ თემით გურულ ფერმერებს.

– მიმი მედგომარობაა, თხილის მოსავალი განადგურდა, ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურები არ არის. შესაძლებელია ამას სოციალური აფეთქება მოჰყვეს.

დარბაზის სხდომაზე სხვა საკითხებზეც იმსჯელებს. გურიის გუბერნატორმა ყველა კითხვას გასცა პასუხი.

საზოგადოებრივი საბჭო არის რწმუნებულ-გუბერნატორთან შექმნილი სათათბირო ორგანო. საბჭოს წევრების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია პრობლემური საკითხების მოძიება, დაშუშება და რეკომენდაციების სახით მიწოდება განლავეთ, რომელთა გათვალისწინებაც სარეკომენდაციო ხასიათის ატარებს. აღნიშნული საბჭო სამ თვეში ერთხელ იკრიბება.

„დაფნის ბპირბპინი“ ნონას

ალიონი. „ნონას თასის“ სტუმრობას ოზურგეთში, ჩოხატაურის კოლორიტი, ფაზისის აკადემიის გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარე რევაზ თედორაძე დაესწრო და საპატიო სტუმართან შემდეგი გაიხსენა:

– 1961 წელს ჩოხატაურში საქართველოს ახალგაზრდა მოჭადრაკეები: ნონა გაფრინდაშვილი, ელისო კაკაბაძე, მანანა ტოგონაძე და ბუნუტი გურგენიძე გვესტუმრნენ. მე მაშინ რაიონის ახალგაზრდულ ორგანიზაციას ვხელმძღვანელობდი და საპატიო სტუმრების ყველა შეხვედრას ვესწრებოდი და შემდეგ ვმასპინძლობდი. ახალგაზრდა მოჭადრაკეები შეხვედრენ მოსწავლეებს, უფროსებს სოფლებში ხიდისთავი, ერკეთი, ბუკისციხე, კონხარი, გორა-

ბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში.

ერთდროული თამაშების სეანსებზე ძალიან მოვიხიბლე ნონა გაფრინდაშვილის თამაშით. ეს ის პერიოდი იყო, როცა ის დიდ ასპარეზზე ასაფრენად ემზადებოდა.

გორაბერეჟოულის ტექნიკუმის ვრცელი ეზოს დათვალიერებისას სტუმრებს შეუმჩნეველად ჩამოვრჩი, დაფნის ტოტები დაკვებზე, გვირგვინი შეგვარი და მოულოდნელად ნონას ჩამოვაცვი თავზე და მივმართე: –შენ მომავალი მსოფლიო ჩემპიონი ხარ!

მართლაც, რამდენიმე თვეში ნონა გაფრინდაშვილმა იუგოსლავიაში უძლიერეს სერბ მოჭადრაკეს მილუნკა ლაზარევიჩის სძლია, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდა და



მსოფლიო მოქმედ ჩემპიონ რუს ელისაბედ ბიკოვასთან თამაშის უფლება მოიპოვა. ნონამ შეძლო აღიარებული რუსი მოჭადრაკის დამარცხება და მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

მილოცვა ძალბატონ ბაბუცა აბრაშაძის

კიდევ ერთი წელი მიემატა შენს ცხრაათულს და ისევ თუბილარი ბრძანდები.

წარსულის მძიმე მოგონებები უნდა დაივიწყო, რადგან შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები კარგად გყავს.

დიდხანს იცოცხლე შენი ოჯახის, შინაურების, ახლობლებისა და კარის მეზობლების იმედად.

გულსუნდა მახარაჰმ

სულთათნა „დაულალავი მუდამ ჟამს სს ვითვის“



არაჩვეულებრივი დედა, ბებია, მასწავლებელი, მეგობარი..

ნაწილი დარჩია, ქალბატონი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა სკოლას, მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდას. რამდენი ახალგაზრდა, დააფრთხანა, ასწავლა სწორი გზით სვლა. ძნელია ვისაუბრო მასზე ზეწარსულში. ის იყო სკოლის ბურჯი, საიმედო დასაყრდენი პედაგოგი. თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, კრავტიული, შემოქმედებითი ნიჭით, ხალასი ოუმორით დაჯილდოებული ადამიანი. შესანიშნავი ხელოვანი, კარგად ხატავდა, წერდა ლექსებს, სცენარებს. „პედაგოგი დრამატურგი შესანიშნავი რეჟისორი“ -- ასეთი შეფასება დაიმსახურა თეატრის შესვენებისაგან მის მიერ დადგმულმა წარმოდგენებმა ზღაპრების კერძულზე.

„მასწავლებელთა მასწავლებელი“, მუდამ მზად იყო კოლეგებთან თანამშრომლობისთვის, უზიარებდა თავის გამოცდილებას. არ უშინდებოდა სიახლეებს, ნაბიჯს უწყობდა ახალ გამოწვევებს. მოსწავლეებთან ურთიერთობა უდიდეს სიხარულს ანიჭებდა. მისი საკლასო ოთახის კარს მიღმა მუდამ შემოქმედებითი წვა იყო, ლამაზად მორთული საკლასო ოთახი, მისივე ხელით დამზადებული რესურსებით, სახალისო გაკვეთილებით. თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლის მანძილზე სულ სიახლეებს ძიებდა იყო.

გაკვივრებდა შენს გარემო. შენს პატარებს განსაკუთრებით, რომლებიც სულ გარს გეხვეოდნენ და ლამაზი თვალებით შემოგაცივინებდნენ, მაღლიერ მშობლებს, რომლებიც მუდამ შენ გვერდით იდგნენ.

შენი სახელი მუდამ იცოცხლებს აღზრდილების, აღსაზრდელების, კოლეგების, მეგობრებისა და მაღლიერი თანასოფელელების გულში.

კოლეგების სახელით, **ბაილეთის საჯარო სკოლის დირექტორი მკვინინა ხაჭაბავაძე, სკოლის ოფისის მფლობელი რაინოზული ორბანიანი.**

ქართული ფუტარი – ბიომრავალფეროვნების საუკეთესო ნიმუში

ქართული ფუტარის ძირითადი კოპულაციების ბიოლოგიური მახასიათებლები

№	მაჩვენებლები	მეგრული	გურული	აფხაზური	ქართლური
1.	შეფერილობა	რუხი	რუხი	რუხი	რუხი
2.	ხორთუმის სიგრძე (მმ)	7,1-7,2	7,0-7,1	6,8-7,0	6,5-6,8
3.	კუბიტალური ინდექსი (%)	50-55	50-55	50-55	50-55
4.	III თერგიტის სიგრძე (მმ)	4,5-4,7	4,5-4,8	4,4-4,8	4,4-4,8
5.	დედა ფუტარის მაქსიმალური სადღეღამისო კვერცხმდებლობა (კალი)	1200-1600	1200-1600	1100-1700	1200-1800
6.	თაფლის ბუკდვა	სველი 438	სველი	სველი	სველი
7.	ზამთარგამძლეობა	დამაკმაყოფილებელი	დამაკმაყოფილებელი	უკეთესი	ნუგუნს პირობებში კარგი
8.	თვინიერება ა) ბუდის გახსნისას ბ) ფიჭის გახსნისას	თვინიერია, ფიჭაზე აგრძელებს მუშაობას	თვინიერია, ფიჭაზე აგრძელებს მუშაობას	თვინიერია, ფიჭაზე აგრძელებს მუშაობას	თვინიერია, ფიჭაზე აგრძელებს მუშაობას
9.	მუშა ფუტ. მასა (მგ)	90-100	90-105	90-100	85-100
10.	განაყოფიერებული დედა ფუტ. მასა (მგ)	170-180	170-200	170-190	170-190
11.	განაყოფიერებული დედა ფუტ. მასა (მგ)	180-250	180-260	180-250	175-240

უკანასკნელ წლებში დედაფუტარის ტემპერატურის მუდმივი ზრდა და მასთან დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების შემცირების საშიშროება მსოფლიო მცენარეების ერთ-ერთ თავსატეხად იქცა.

გლობალური დათბობის საფრთხე მუდმივ პრობლემას უქმნის გარკვეულ ეკოსისტემებს. განსაკუთრებით კი იმთა, რომლებიც ბუნებრივი გავრცელების საზღვარზე არიან.

ამჟამად დედაფუტარზე გამოყოფენ ბიოლოგიური მრავალფეროვნების 35 „ცხელ წერტილს“ (**Hot spots**). კავკასია, სწორედ ერთი ამთავანია. გარდა ამისა, იგი შედის ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (UNEP) მიერ გამოყოფილ 200 გლობალურ ეკორეგიონს შორის.

საქართველო, როგორც კავკასიის შემადგენელი ნაწილი მდიდარია ცხოველთა და მცენარეთა მრავალფეროვნებით. აქ გავრცელებული მრავალი სახეობის ცხოველი იშვიათად გლობალური მასშტაბით და შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელ ნუსხაში.

ქვეყანაში, ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართული ფუტარი (**Apis mellifera caucasica-Georgia**), რომელიც კავკასიის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში გამოყვანილი რუხი ფუტარის ვეგეტაში შედის.

რუხი შეფერილობის, თვინიერი, სუსტი და საშუალო ღალის კარგად ათვისებული, ნაყოფისა და ნაქვედის მდიდრეკილი, სამუშაო ღლის მაქსიმალურად გამოყვანის უნარის მქონე ქართული ფუტარი ჯიშის შიგნით მოიცავს მრავალ პოპულაციას, რომელთაც როგორც მსგავსი, ისე განსხვავებული თვისებები ახასიათებთ.

ნათელია, რომ ამ განსხვავებათა მიზეზები გამოწვეულია იმ გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების ზემოქმედების შედეგად, რომლებშიც მათი ასწლულებების მანძილზე მოუხდათ არსებობა.

გასული საუკუნის ქართველ მეცნიერთა მონაცემებით, რომელიც ქართული ფუტარის პოპულაციების შესწავლით იყვნენ დაკავებული დიდხანსა, ქართული ფუტარის შემდეგი პოპულაციები: მეგრული, აფხაზური, გურული, ქართლური, იმერულ-რაჭული, ზემო სვანური და კახური.

აღნიშნული პოპულაციებიდან ბიოლოგიური და სამეურნეო მნიშვნელობის კომპლექსით ყველაზე მნიშვნელოვანია პირველი ოთხი.

მეგრული პოპულაცია

მეგრული პოპულაცია – მისი გავრცელების ტრადიციული არეალია სამეგრელო, ჩოხატაურის რაიონი (სოფელი ზემო სურები), სადაც კლიმატი სუბტროპიკულია. მცენარეული საფარი სიმაღლერივი ზონების სახითაა გავრცელებული. მთის კალთებზე ტყის შემქმნელი მთავარი ჯიშებია: წიფელი, მუხა, წაბლი, სოჭი, ჭადარი, რცხილა, თხმელა. ასევე გვხვდება: შქერი, წყავი, ბზა, მოცივი, თხილი, წიფელი. 1500-1600 მეტრიდან ჭარბობს ნაძვისა და სოჭის ტყეები. ტყის სარტყლის ზემოთ მდელოები და ბუჩქნარებია.

გურული პოპულაციის გავრცელების ტრადიციული არეალია გურია, ჩოხატაურის რაიონი (სოფელი ზემო სურები), სადაც კლიმატი სუბტროპიკულია. მცენარეული საფარი სიმაღლერივი ზონების სახითაა გავრცელებული. მთის კალთებზე ტყის შემქმნელი მთავარი ჯიშებია: წიფელი, მუხა, წაბლი, სოჭი, ჭადარი, რცხილა, თხმელა. ასევე გვხვდება: შქერი, წყავი, ბზა, მოცივი, თხილი, წიფელი. 1500-1600 მეტრიდან ჭარბობს ნაძვისა და სოჭის ტყეები. ტყის სარტყლის ზემოთ მდელოები და ბუჩქნარებია.

აფხაზური პოპულაცია

აფხაზური პოპულაციის გავრცელების არეალია აფხაზეთი, გუდაუთის რაიონი. ჰავა ზღვის ნოტიო, სუბტროპიკულია. მრავალფეროვნა აფხაზეთის მცენარეული სამყარო, რომელიც თფლის 2000-ზე სახეობას, აქედან 250-ზე მეტი მიეკუთვნება სამკურნალო მცენარეთა რიცხვს.

აფხაზეთში 133 -ზე მეტი ენდემური მცენარეა. გვხვდება ფიჭვი, სოჭი, ქართული მუხა, წაბლი, კავკასიური რცხილა, ვაგრცხილა, ცაცხვი, თვანი, კოლხური ბზა და სხვ. აღნიშნული პოპულაცია ხასიათდება დედა ფუტარის მაღალი კვერცხმდებლობით და შედარებით უკეთესი ზამთარგამძლეობის უნარით.

ქართლური პოპულაცია

ქართლური პოპულაციის გავრცელების ტრადიციული არეალია დუშეთის მუნიციპალიტეტი, სადაც გამოყვანილია ძირითადად 3 ტიპის ჰავა: ზომიერად ნოტიო, ნოტიო და მაღალმთის ნოტიო ჰავა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებულია უროიან-ვაკიფერიანი და ვაკეკლიანი სტეპური მცენარეულობა, შედარებით მცირე ფართობზე – მუნხარ-რცხლიანი და სხვა ფართოფოთლოვანი ტყეები.

მდინარე არაგვის გასწვრივ-ტუგაის ტყე გვხვდება მთის ფიჭვნარები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის ასევე სუბალპური და ალპური მდელოები.

ქართლური პოპულაციის ფუტარის ხორთუმის სიგრძე ნაკლებია სხვა პოპულაციის იგივე მაჩვენებლებზე, თუმცა იგი დედა ფუტარის სადღეღამისო კვერცხმდებლობით სხვებს აჭარბებს.

ყველა პოპულაციას აქვს მსგავსი თაფლის და ცვილის პროდუქტობა და შესაბამისად მათი საშუალო მაჩვენებელი მერყობს 18-25 კგ და 4-5 აშენებული ფიჭის ფარგლებში. ფუტარის ოჯახის საერთო სიძლიერე კი- 15-19-ჩარჩო ფუტარი.

როგორც ცხრილიდან ჩანს პოპულაციებს შორის ბევრი მსგავსებაა, რაც მოუთხოვს მათ საერთო წარმოშობაზე, განსხვავებების მიზეზი კი მათი საარსებო გარემოა.

აღწერილი პოპულაციები საჭიროებენ გაფრთხილებას და შენარჩუნებას, რის გამოც უპირველესად თითოეული დაცული უნდა იყოს სხვა პოპულაციების და ვიშის ფუტარის შევარდნისგან.

ამისათვის საჭიროა ქვეყნის შიგნით ადგილობრივ (ადგილობრივი – დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე, რომლისაც მინიჭებული აქვს საეკოლოგიური სტატუსი/აგროკავკასია) ჩამოყალიბება, კერძოდ მეგრული პოპულაციისთვის-ხოზისწყლისა და სეჭურის ხეობებში, გურული პოპულაციისთვის-სოფელ ზემო სურებში, ქართლური პოპულაციისთვის სოფლების ბარისახოს, შუაფხოს და ჩარგალის ტერიტორიაზე, აფხაზური პოპულაციისთვის კი ასეთ ტერიტორიად მოიაზრება გუდაუთაში სოფლების ფსხუსა და ხაბუს ტერიტორია (თუმცა საშუალოდ, ამ უკანასკნელზე ვერავრითი ხელი არ მიგვიწევს).

გარდა ამისა, სავალდებულოა კვლავ ამოქმედდეს კანონი საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნიდან ფუტარის უკანონო შემოყვანა-გავრცელების აკრძალვაზე. ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს ქართული ფუტარის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას.

ავტორები: **მაია ფიჭინიშვილი, აღექსანდრე კობახია**; სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;

კვილი ოზურგეთის ქრონიკები

ნატანებ-ოზურგეთის რკინიგზა



ლიანდაზის დაგებაში მუშები ჭანჭათას ხიდთან

ოზურგეთი- ლიხაური.

ამხანაგობის ხელმძღვანელი იყო რაჟდენ წუწუნავა(ცნობილი ქართველი რეჟისორის ალექსანდრესა და სახელოვანი არტისტის ცეცილია წუწუნავას მამა).ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდებში დაცულია მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნინო ნაკაშიძის „მოგონებები გურიაზე“, სადაც ვკითხულობთ: „ოზურგეთის ამხანაგობას ჰყავდა ეტლები და დილიჟანები სადგურ ნატანებამდის მიმავალი მგზავრებისათვის. ერთი ადგილი ეტლში და დილიჟანში 10 შაური ღირდა. ეს დიდი შეღავათი იყო, რადგანაც, მაშინ ნატანებიდან ოზურგეთამდე ტრანსპორტი არ დადიოდა 18 ვერსის გაველა ფეხით უხდებოდა კაცს. კერძო ეტლით სიარული ძალიან ძვირი ჯდებოდა. ამიტომ ხალხი მადლობელი იყო რაჟდენის, რომელიც სულ მუდამ ტრიალებდა თავის კანტორაში“.

ოზურგეთის რკინიგზის მშენებლობის ისტორია 1896 წლიდან იწყება.ამაშინ, როცა ქალაქის თვითმმართველობამ შუამდგომლობით მიმართა ქალაქის თავს თავდგირიძეს, ნებართვის შესახებ რკინიგზის გაყვანის შესახებ, ნატანებიდან ქალაქ ოზურ-


გეთამდე იმ უფლებით, რომ იგი გაგრძელებულ უნდა ყოფილიყო სოფელ ვაკიჯვარამდის, ჩონატაურამდის სადგურ საჯავახოსთან შესაერთებლად და შემდეგ კი სადგურ ნატანებიდან შეკვეთილამდე ,რითაც გურიას საშუალება მიეცემოდა საკუთარი ნავსადგური აეგო შავ ზღვაზე.

მეფის მთავრობა არც ისე გულუბრყვილო და სულელი იყო ,რომ მოუსვენარ და რევოლუციური ალტკინებით სავსე გურიისათვის დაეხარჯა ამ მიზნისათვის მოთხოვნილი ოცდაათი ათასი მანეთი.

1918 წელს ნატანებ-ოზურგეთის რკინიგზის გაყვანის საკითხი ხელმეორედ წამოიჭრა .გურიის ერობა თავის „დეკლარაციაში“ დაპირდა გურულებს,რომ ახლო მომავალში ის პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამდა ამ გზის გასაყვანად. ერთი წლის შემდეგ ერობა შეუდგა მცხოვრებლების გამოკითხვას-თუ მთავრობა დაიწყებდა აღნიშნული რკინიგზის გაყვანას-რა საშუალებით და რით დაეხმარებოდნენ მას მცხოვრებლები. ამით ამოიწურა„პრაქტიკული ნაბიჯები“.

ოზურგეთის რკინიგზის შესახებ საინტერესო ცნობას აქვეყნებდა გავითი „სახალხო გაზეთი“ 1914 წელს 1116 გურულის ფსევდონიმით :„დიდი ხანია მოელიან რკინ-

იგზის შტოს გაყვანას ნატანებიდან ოზურგეთამდე,ხოლო აქამდე ვერ ელირსენ თავის ლოდინის განხორციელებას.შეიძლება რკინის გზა მალე გაკეთდეს. საქმე ისაა,რომ ოზურგეთის მხარაში ამ ბოლო დროს ტყეები იყიდეს მოსაჭრელად კაპიტალისტებმა, რომლებიც ძლიერ დაინტერესებულნი არიან ოზურგეთის რკინის გზის გაყვანაში, რადგან ამით ფრიად გაუადვილებოდათ ხე-ტყის გადმოტანა. ამ კაპიტალისტებმა ასეთი წინადადებით მიმართეს ოზურგეთის ქალაქის თვითმმართველობას : გადმოგვეცით ვექილობა,რომ პეტერბურგში შევეცადოთ,ხაზინამ გამოიყვანოს რკინის გზა, ან კონცესტა (მინდობილობა) მოგვცეთო.უკანასკნელ შემთხვევაში კაპიტალისტები ჰპირდებიან ოზურგეთლებს, გზის გამყვანსაც ჩვენ გიმოვითო.ამასთანავე კაპიტალისტებმა მოსთხოვეს ქალაქის თვითმმართველობას, იმ ადგილების პატრონებს ,სადაც გზა გაივლის,უფასოდ დაეთმოთ მიწები, რადგან ამ შემთხვევაში მეტად გაადვილდება რკინისგზის გაყვანა. სამწუხაროდ ოზურგეთის თვითმმართველობამ ვერაფერი იმედი მისცა კაპიტალისტებს



სკანვორდი


A crossword puzzle grid with a portrait of a man on the left. The grid contains various words and clues in Georgian. The portrait is of a man with a mustache, wearing a patterned jacket and a tie.

№ 33-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - გიორგი გვეგეჭკორი; ქართული ზღაპრის გმირი - ამირანი; თვითმფრინავის სარკმელი - ილუმინატორი; მე-10 ასობგერა - კ; მეფის ბრძანება, წერილი - რიარტაგი; ცეცხლის ენა - ალი; ნამდვილი - ჭეშმარიტი; საქორწინო ტანტი - ავილა; ცინცხალი - ხალასი; საუბარი რომ უჭირს - ბლუ; პირველი პირის ნაცვალსახელი - მე; შარბი - ეშხი; შეხსილი - ეი; თიხის ან მინის ჭურჭელი - ქალა; მთა ავსტრალიაში - აშხე; გველის ნაშიერი - წიწილი; საუკუნის აღმნიშვნელი რიცხვი - ასი; ფულის ერთეული - ლარი; ფიცრის თარი - იკორთა; რუსული ავტომობილი - ნივა; გემის ტიპი - დრაკარი; ადამიანის მსგავსი მაიმუნი - გორილა; ეკალი - ქაცვი; აბრეშუმის ქსოვილი - ატლასი; გაზაფხულის ყვავილი - ია; მუსიკალური ინსტრუმენტი - გიტარა; პატარა ზომის ადამიანი - ლილიუბუტი; ზარბაზნების ქარხანა - თოფხანა; ფრაგი მწერალი - მერიმე; ე. ნინოშვილის გვარი - ინგოროყვა; სუსტი ქარი - ნაივი; სასმისი - ფალა; ქალის სახელი - ანა; ყოფილი ინგლისელი ფეხბურთელი - ლი; ქალაქი რაჭაში - ონი.

კემლი ოზურგეთის ქრონიკები

ნატანებ-ოზურგეთის რკინიგზა



რკინიგზის ხიდი მდინარე სპურღუშზე

გზისათვის საჭირო მიწების შესახებ არა როგორც ამბობენ, ისინი ახლა სხვა გეგმების შედგენას აპირებენ, ან დიდ ავტომობილებს შეიძენენ და მით გადმოზიდვენ ხე-ტყეს, ან ქობულეთიდან ოზურგეთამდე გაიყვანენ ერთ-ერთი ელექტრონის გზას, რომელიც მხოლოდ ხეების გადმოსატანად ივარგებს. თუ კაპიტალისტები შეუდგნენ ამ გეგმის განხორციელებას და ხარჯი გასწიეს ამისათვის, ისინი აღარ იქნებიან დაინტერესებულნი, მერე დაეხმარონ ოზურგეთელებს რკინის გზის გაყვანაში და გზის ბედი შეფერხდება. ამიტომ საჭიროა, რომ ოზურგეთის თვითმართველობამ, მემამულეებმა და საერთოდ მთელმა მახარამ მხნედ მოჰკიდოს საქმეს ხელი, უფასოდ დაათმობინოს მუშაკთა მიწები და ამით გააძვირონ დიდი ხნის განზრახვის განხორციელება- ოზურგეთის რკინის გზის გაკეთება.“

როგორც ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდებში (საქმე 64) დაცული მასალებიდან ირკვევა, 1920 წლის დამლევს გურიაში ოცნებობდნენ არა რკინის გზაზე არამედ ნატანებ-ოზურგეთის შარა გზის ისე, მანაც შეკეთებაზე, რომ ბევრის ხიდის საშუალებით შესაძლებელი ყოფილიყო ოზურგეთიდან ნატანებში ჩასვლა და ეს იმ დროს, როდესაც გურიის რკინის გზა ოცნებად იყო გადაქცეული გურიისათვის.

თვით საქართველოს ყოფილი გზათა სამინისტროს მინისტრი ნოე ხომერვი, 1919 წლის 7 ივნისის 17-89 თარიღით მოხსენებაში ნატანებ-ოზურგეთის რკინიგზის გაყვანის შესახებ წერდა: „რკინიგზის უქონლობის გამო გურიის მდიდარი ტყეები და მადნეულობა უსარგებლოდ რჩება, როგორც მხარისათვის, ისე მთელი რესპუბლიკისათვის, სოფლის

ნაწარმი კარგავს ფასს, რადგან არა აქვთ იაფი და ხელსაყრელი გასაყალი: მურნის შრომა ეცემა, მუშის ხელფასი კლებულობს და მრეწველობა-ვაჭრობა სულ მთლიანად ქვეითდება, საწარმოო ძალები დღითიდღე სუსტდება.“ გურია მდიდარია ტყის აგარაკებით, რომელშიც მრავლად მოიპოვება ძვირფასი ჯიშის ასაშენებელი და ავეჯეულობის გასაკეთებელი ხე-ტყე, როგორცაა მაგალითად: ურთხელი, წაბლი, წიფელი, კობიტი, მუნა-ნაძვი და სხვა. გურიის მოპყვას და საშუალება აქვს გამოიტანოს ბაზარზე დიდძალი სიმინდი, აბრეშუმი, თამბაქო, კაკლის ხე, ხილი, ჩაი, ვარდის ბუჩქები, მანდარინი, სპირტი, ყურძენი.“

რკინიგზის მშენებლობა მიმდინარეობდა 1 წელსა და 4 თვეს. გზა სულ არის 18 ვერსი ფართე ლიანდაგისა და სადგურ ნატანებში გადგაუხვევს ამიერკავკასიის რკინისგზას და დაკვეება მდინარე ნატანების მარჯვენა ნაპირს. გზა თავდება ოზურგეთის სადგურით, რომელიც შებენი ქალაქშია. ამ ორ სადგურთა შორის შუაში სოფელია. სოფელ მერიამში მესამე სადგურია. მთელი ამ გზის ხაზზე აგებულია 33 ხელოვნური შენობა, რაზედაც დახარჯულია 8 ათასამდე ბოჭკა ცემენტი. მუშაობა სწარმოებდა შრომის ბეგართი, ხოლო შემდეგ შეწყდა, რადგან გლეხობა იძულებული შეიქნა ძალები მოეხმარა წყალდიდობისაგან დაზარალებულ თავიანთ სოფლებისათვის. გზა ჯერ-ჯერობით დაჯდა ას სამოცდა თორმეტი ათასი მანეთამდის, შემდეგ კიდევ ასაგებია სადგურები. ვის ხარჯზე აიგო ეს გზა? ბათომის სასაპირო მუშათა არტელს შეუწირავს 35 ათასი მანეთი, ამიერკავკასიის რკინის გზის მუშებს 6 ათასი;

კავკასიის წითელ დროშოვან არმიას 5 ათასი; სასურსათო კომისარიატს- 5 ათასი; მიწათმოქმედების კომისარიატს- 2 ათასი; თბილისის ქალაქის აღმასკომს - 2 ათასი; საქართველოს მთავრობას ასევე 5 ათასი. (მასალა ამოღებულია წიგნიდან „ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა“. 1923 წ.)

ფილიპე მახარაძე რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ნატანებ-ოზურგეთის რკინიგზის მშენებლობაზე 1897 წელს უნალ „კვალში“, პროვინციელის ფსევდონიმით წერდა: „გურიის ეკონომიურ განვითარებად მდგომარეობას ამწვევებს კიდევ ის გარემოება, რომ ეს კუთხე მოკლებულია ახალი დროის გაუმჯობესებულ მისვლა- მოსვლას ე.ი. რკინის გზას. ბათომის რკინის გზა გურიას არ წვდება. და თუ წვდება დიდი გაჭირვებით და ვაი-ვაგლახით. საყურადღებოა ამ მხრივ შემდეგი ამბავი, თურმე, ვინც, ამ გზის პირველი პროექტი შეადგინა, იმას სრულიად არ დაევიწყა გურია. ამ პროექტით ბათომის გზა 4-5 ვერსის მოშორებით გაივლიდა ოზურგეთზე, რაც წამხდარ დროზე მანაც კარგი საქმე იქნებოდა, მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა მუშაობა დაწყებული იყო, გამოიარა ჩვენმა საუბედურმა, მეორე ინჟინერმა, რომელმაც ეს პროექტი სრულიად უკუაგდო, გზა გურიიდან გადაკარგა, შავი ზღვაში გაიყვანა (სწორედ შავ ზღვაში) და გურულებს კი თითქოს ასეთი სიტყვებით მოგვმართა: - ვინ ცოდვის შეიღმა დაგატყუილა? თქვენთვის რკინისგზას არავინ არ გააკეთებს, ან, რომ კაცმა სთქვას თქვენთვის რა საჭიროა ესა? არამც და არამც თქვენ გულში არ გაივლით, რომ თქვენთვის რკინის გზა საჭიროა, მე კი ჩემი მხრით, რაც გამოვა ვეცდები, რომ თქვენში ეს სურვილი აღმოფხვრათ. რომ ამ სურვილებს აღმოფხვრა გურულებში შეუძლებელი იყო. ეს ვერც ცხადია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ხსენებულმა ვაჭარმა, როგორც მას გაუვიდოდა ყოველგვარი საშუალება იხმარა ამ მიზნის მისაღწევად.“ (ყურნალი „კვალი“, 1897 წ. 29).

მთხედვად ამისა, მოხერხდა ისე, რომ 1923 წლის 26 დეკემბრისათვის ოზურგეთის რკინიგზა გაიხსნა. მანამდე მიმდინარეობდა მუშაობა. გურიის აღმასკომის თავმჯდომარის ანდროლოძის მიმართებაში ნათქვამია: „გურიის ხალხი იზეიმებს 26 დეკემბერს, ქალაქ ოზურგეთის პირველად ესტუმრება სამეზავრო მატარებელი მართლაც, რომ ისტორიული დღე იქნება გურიის ხალხის ცხოვრებაში.. 26 დეკემბერი საკეთესო თავდები იქნება მშრომელი ხალხის შემდგომი კულტურული ეკონომიური განვითარების მისი აღორძინება-აყვების. ნატანებ-ოზურგეთის რკინიგზა უნდა გაგრძელდეს ჩოხატაურამდე. მას უნდა მიყვს ელექტროსადგური“...

1923 წლის 28 დეკემბრის გაზეთი, „კომუნისტი“ აქვეყნებდა გურიის რკინიგზის გახსნის ქრონიკას. ერთ-ერთი მონაწილე დღ-ღე ხელმოწერით აღწერს ამ ზეიმს: „25 დეკემბერს, საღამოს, თბილისიდან 18 ვაგონით წამოვედით სტუმრები თბილისიდან, 26 დეკემბერს, დილის ათის ნახევარზე, ნატანების სადგურში ვიყავით. ნატანებში მოწვეული იყვნენ სტუმრები აჭარისკაცები, მთავრობის, კაცის წარმომადგენლები, პროკავშირთა წევრები, თავი მოეყარა გლეხობასაც, ეს ადვილი ასახსნელი იყო, რადგან მათი 30-40 წლის ოცნება ახლა გზის დასაწყისთან აღმართულია არკა(თალი)

დრომებით მორთული. ფილიპე მახარაძე საქართველოს მთავრობის სახელით ესალმება გლეხობას და ამბობს, რომ „ნატანებ-ოზურგეთის რკინისგზის გაყვანის საქმეში ყველაზე უფრო აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ის ამინდა მუშებისა და გლეხების თანხით, თაოსნობით და მეშვეობით მუშებმა დაიწყეს ეს საქმე და სახელოვნად დაამთავრეს. შემდეგ ისმის „ინტერნაციონალი“ და „ვამას“ ძახილით იჭრება ლიანდაგზე გადაბმული წითელი ლენტის, ისმის შემახილები გაუმარჯოს ჩვენს ბელადებს... სრულ 12 საათზე ორთქმავალი შესდგა გურიის რკინისგზაზე და ნელ-ნელა დაიძრა ოზურგეთისაკენ, მატარებელი რამდენჯერმე შეჩერდა, ვთავლიერებთ სადგურ მერიის ასაშენებელ ადგილს, მდინარე სკურდუმის, ნატანების და ბოგილის ხიდებს, ყველაფერი ლამაზადაა, ვეკითხები გურიის აღმასკომის თავმჯდომარეს ამხანდრო დოლიძეს: სად გაიყვანთ შემდეგ ლიანდაგს, რომელ მიუღს დაიპყრობთ, ირკვევა, რომ აპირებენ და მალე შეუდგებიან ლიანდაგის გაგრძელებას ჩოხატაურის მიმართულებით. 2 საათზე ოზურგეთში ვართ, აქ თავი მოუყრიათ დიდძალ საზოგადოებას, რომელიც მოუთმენლად მოელის მიტინგის გახსნას. აქ არიან ოზურგეთის ახლო მდებარე სოფლების



პირველი მატარებელი ოზურგეთში. 25. 12 1923წ

მცხოვრები მოსწავლეები, წითელი არმიის ნაწილები, ადგილობრივი ხელისუფლება, პარტლანსელებების, პროფკავშირების და სხვათა წარმომადგენლები. მატარებლის მოსვლას „ვამას“ ძახილით ესალმებიან. ამხ ანდროლოძე მიტინგს გახსნილად აცხადებს და ამბობს: - ჩვენი დიდი ხნის ნატანა ასრულებულია. ოცნება ფაქტად იქცა. ჩვენ გაავრძელებთ ამ გზას და ჩოხატაურში შევიჭრებით (მქუხარე ტაში). ვამა იმ მთავრობას, რომელმაც მოგვცა ეს გზა, ვამა და გამარჯვება საბჭოთა აღმშენებლობას. შემდეგ სიტყვით გამოდის ფილიპე მახარაძე, რომელიც მოუთხოვს გლეხობას

საბჭოთა აღმშენებლობაზე, გლეხთა გაჭირვებაზე, იმ ზომებზე რომლის მიღება საჭიროა. ამხ, მალე ელიავა გურულებს საქართველოს მთავრობისა და გზათა სახალხო კომისარიატის სახელით მიესალმა. მამია ორახელაშვილი აღნიშნავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ერების კულტურულ და ეკონომიკურ აღორძინებასათვის, ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატთა საბჭოს არ შეეძლო გვერდი აეხვია გურიის რკინიგზისათვის, მან მიიღო აქტიური მონაწილეობა ამ საქმეში და თქვენი დახმარებით კიდევ დაავიკრავინა აჭარისკაცების წარმომადგენელმა თახსიმ ხიმშიაშვილმა ისაუბრა იმ კავშირის შესახებ, რომელიც არსებობდა აჭარელებსა და გურულებს შორის ძველად და აღნიშნა ის დახმარება, რომელიც აღმოუჩინა გურიის რკინისგზას აჭარისკაცთა ფუნარა (ლარიბი) ხალხმა და მუშებმა. წაიკითხეს მისაღობებული დეკლარაცია, შემდეგ მიტინგი დაიშალა და სტუმრებისათვის გაიმართა ბანკეტი.

მომდევნო პერიოდში ქ. ოზურგეთში სანკ-პეტერბურგელი არქიტექტორის, ნეოკლასიკური სკოლის აღზრდლის ალექსი შჩუსკის პროექტით რკინიგზის სადგურის შენობა აშენდა, რომელიც დღემდე ამშვენებს ოზურგეთს.

ამრიგად, თითქმის საუკუნის, უფრო სწორად 95 წლის წინათ გაიხსნა ნატანებ-ოზურგეთის რკინისგზა. კომუნისტური სულისკვეთებით დაწერილი მისაღობებიდან ამონარიდები მოვიტანეთ იმიტომ, რომ მკითხველისთვის შეგახსენებინა ის პათოსი, რომელიც საუკუნის წინ იყო გურიაში. საინტერესოა ასევე ჩვენთვის უცნობი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ გაგრძელდა რკინისგზა ჩოხატაურამდე.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის საბჭოთაო გაერთიანების ფონდების მთავარი მკვლელი.



ოზურგეთის რკინიგზის ვაგზალი, არქიტექტორ შჩუსკის პროექტი.

სულთანა

ოზურგეთის ყოფილი სკოლა-ინტერნატის კოლექტივი თანაუგრძნობს აღმზრდელს, თალიკო გობრონიძეს მამის, **ბუსუტი გობრონიძის** გარდაცვალების გამო.

გრიბოედოვის ქუჩის უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ ეკა გობრონიძეს მამის, **ბუსუტი გობრონიძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება ბიძა-ძმისშვილის **გორა და ალიკა ჯინჭარაძეების** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულების ოჯახებს.

ოზურგეთმა „ნონას თასს“ უმასპინძლა



ალიონი. ოზურგეთის „ჭადრების ბაღში“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის „ნონას თასს“ უმასპინძლა, რომელიც მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილებით დაწესდა და მსოფლიო 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადაზე საუკეთესო შედეგის მქონე ქვეყანას გადაეცემა. ოლიმპიადა ბათუმში 23 სექტემბერს გაიხსნება, რომელშიც

მსოფლიოს 189 ქვეყანის 4 ათასამდე მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას. საზეიმო ღონისძიებას ნონა გაფრინდაშვილი, ნანა იოსელიანი, საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის წარმომადგენლები, გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარაია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები ჭადრაკის მოყვარულებთან ერთად დაესწრნენ. სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს

ველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე გია გიორგაძე, გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარაია, შემოქმედელი ეპისკოპოსი, მეუფე იოსები, გუბერნატორის მოადგილე გია ებრაელიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი დავით შემოქმედელი, ფაზისის აკადემიის გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარე რევაზ თელორიაძე, ვეტერანი მოჭადრაკე ოლია შათირიშვილი, მსოფლიო ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმეს ანსამბლებმა „შემოქმედი“ და „მრავალფაზიური“. ღონისძიების დასასრულს ნონა გაფრინდაშვილმა და ნანა იოსელიანმა ბავშვებთან 20 დაფაზე ჭადრაკის პარტიები ითამაშეს. საქართველოს მე-20 საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, საჭადრაკო ოლიმპიადების 18-გზის გამარჯვებული, ცხრა პირადი ოლიმპიური ოქროს მფლობელი, პირველი დიდოსტატი

ქალი ვაჟთა შორის, პირველი საჭადრაკო ოსკარის მფლობელი ნონა გაფრინდაშვილი ყველა საჭადრაკო ტიტულის მფლობელია. მან პლანეტის უძღერესი მოჭადრაკის სახელი 16 წელი ატარა. 1996 წელს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციამ და ევროპის ოლიმპიურმა კომიტეტმა ნონა გაფრინდაშვილი სამი უმაღლესი ორდენით დააჯილდოვა; 1997 წელს ფიდეშ მისი სახ-

ელობის თასი დააწესა, რომელიც საჭადრაკო ოლიმპიადებზე მამაკაცთა და ქალთა გუნდებში ჯამში საუკეთესო შედეგის მფლობელ ქვეყანას გადაეცემა. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის 5-გზის გამარჯვებულია ნანა იოსელიანი, ასევე საერთაშორისო დიდოსტატებია ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე.



შპს „პასაჟის კური“ ბილოცავთი ახალ სასწავლო ფელს!



მის: ქ. ოზურგეთი, ვაკ. ეპისკოპოსის ქ. № 1

სააქციო საზოგადოება „იმედი“ ბილოცავთი ახალი სასწავლო ფლის დაწყებას!



გვიფიქრეთ! ჩვენთან სასკოლო ნივთების ფართო არჩევანია!

შპს „გზამშენი – 18“ ბილოცავთი ახალი სასწავლო ქლის დაწყებას!



სს „ტრანსპერვისი“ ბილოცავთი ახალი სასწავლო ფლის დადგომას!



ტაქსი გამოკახებით: 0(496) 275544; 0790 554455

7 დღის ამინდის პროგნოზი

შპ ღრუბელი +15+22 10 სექტემბერი ორშაბათი	შპ ღრუბელი +14+21 11 სექტემბერი სამშაბათი	შპ, ღრუბელი +14+22 12 სექტემბერი ოთხშაბათი	შპ, ღრუბელი +13+23 13 სექტემბერი ხუთშაბათი	წვიმა +14+18 14 სექტემბერი პარასკევი	წვიმა +12+17 15 სექტემბერი შაბათი	ღრუბელი +12+18 16 სექტემბერი კვირა
---	--	---	---	--	---	--